ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ამ ფორმით შედარებით ახალი სტრუქტურული ერთეულია. ის შეიქმნა 2011 წელს და აერთიანებს შემდეგ კათედრებს: ძველი მსოფლიოს ისტორია (შეიქმნა 1927 წელს), შუა საუკუნეების ისტორია (დაარსდა 1934 წელს) და ახალი და უახლესი ისტორია (წარმოადგენს 1919 წელს შექმნილი მსოფლიო ისტორიის კათედრის სამართალმემკვიდრეს). ინსტიტუტის ხელმძღვანელი მონაცვლეობით ირჩევა 2 წლით კათედრების გამგეებისაგან. ინსტიტუტის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებში როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ გააჩნიათ არაერთი სამეცნიერო მონოგრაფია, საუნივერსიტეტო თუ სასკოლო სახელმძღვანელო. ისტორიის მიმართულების სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებთან ერთად, მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მონაწილეობს “ისტორიის” საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებში, ხოლო სამაგისტრო დონეზე კათედრები დამოუკიდებლად ახორციელებენ შემდეგ პროგრამებს: “ძველი ენები და ცივილიზაციები”, “მედიევისტიკა” და “ახალი და უახლესი ისტორია”.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of World History

Institute of World History in its current configuration is a relatively new structural unit at the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. It was created in 2011. The institute consists of three departments: Ancient World History (founded in 1927), Medieval Studies (created in 1934), and Modern and Contemporary History (successor of the World History Chair, which was founded in 1919). The heads of the above-mentioned departments replace each other as a Head of the Institute every two years. The members of the Institute actively participate in the international conferences held both in Georgia and abroad. They have authored numerous books and textbooks. Together with the other institutes, Institute of World History conducts the BA and Ph.D. programs in History. At MA level the departments have separate programs: “Ancient Languages and Civilizations,” “Medieval Studies,” and “Modern and Contemporary History.”